ელექტროენერგიის ბირჟაზე ვაჭრობა 2025 წლის ანგარიში

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

2024 წლის 1 ივლისიდან ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელის ამოქმედებით გადაიდგა მომდევნო ნაბიჯი ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმის გზაზე. ელექტოენერგიის ბაზრის გარდამავალმა მოდელმა პრაქტიკაში შემოიტანა ბაზრის ახალი სეგმენტი, ელექტროენერგიის ბირჟა (დღით ადრე და დღიური ბაზრები), სადაც საბაზრო ფასის განსაზღვრა ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადენილი წესებით. ბაზრის გარდამავალი მოდელის ამოქმედება იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ელექტროენერგიის ახალი ბაზრის მოდელისკენ.

მიმდინარე პერიოდამდე არ მომხდარა არცერთი შეფერხება სავაჭრო პროცესში. მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების შესაბამისად მიეღოთ ვაჭრობაში მონაწილეობა.

2025 წელს სულ მოხდა 129,754 მგვტ.სთ ელექტროენერგიის ვაჭრობა, ხოლო წლის საშუალო შეწონილი ფასი 131.4 ლარი/მგვტ.სთ (13.14 თეთრი/კვტ.სთ) იყო.

პირველ წელთან შედარებით, 2025 წელს ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2024 წლის მეორე ნახევართან შედარებით, 2025 წლის მეორე ნახევარში ვაჭრობა ორჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა კვლავ მცირეა. ამის უმთავრეს მიზეზად კვლავ რჩება ბაზრის გარდამავალ მოდელში ყოველთვიური დაბალანსების არსებობა. საბითუმო ბაზრის მონაწილეებს აქვთ თვის ჭრილში პოზიციის დაბალანსების (მად. გაყიდული და იგივე პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებული რაოდენობის გათანაბრების) ვალდებულება, რაც არ ქმნის მოთხოვნას უფრო მოკლევადიან სავაჭრო პროდუქტებზე, პოზიციის დაბალანსების მიზნით.

გარდა ბაზრის გარდამავალი მოდელის სპეციფიკისა, რომელიც თანაბრად ეხება როგორც მყიდველებს ისე გამყიდველებს, მხარეების მონაწილეობა დამატებითი სპეციფიკებით ხასიათდება. უმეტესწილად, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ბირჟაზე იყო გაცილებით მეტი, ვიდრე მისი მიწოდება. მიუხედავად ამისა, ბირჟაზე დაფიქსირებული ფასები ყოველთვის იყო უფრო დაბალი, ვიდრე საბალანსო ელექტროენერგიის ფასი. აღნიშნული მიუთითებს ელექტროენერგიის მყიდველების უფრო ფრთხილ სავაჭრო სტრატეგიაზე.

ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელი

2024 წლის პირველი ივლისიდან მოქმედი ბაზრის გარდამავალი მოდელი გულისხმობს ბაზრის არსებულ მოდელში ელექტროენერგიის ბაზრის დღით ადრე და დღიური ბაზრის სეგმენტების ამოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ მოდელში დაბალანსების პერიოდად დარჩა თვე, ელექტროენერგიის ბირჟაზე ივაჭრება საათობრივი პროდუქტები, ფიზიკური მიწოდების თითოეული საათისათვის.

ბაზრის გარდამავალ მოდელში ბირჟაზე ელექტროენერგიის ყიდვის უფლება აქვთ::

- პირდაპირ მომხმარებლებს - საკუთრი მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით;
- სისტემის ოპერატორებს - ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით;
- უნივერსალური და საჯარო მომსახურების, ასევე ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებს - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით.

ბირჟაზე ელექტროენერგიის გაყიდვა შეუძლიათ:

- „ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების“ მქონე მწარმოებლებს, ამ ხელშეკრულებით მიწოდების ვალდებულებისგან თავისუფალ პერიოდში და მოცულობით წარმოებული ელექტროენერგიის ფარგლებში;
- საწარმოს, რომელიც შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სარგებლობს მხარდაჭერის სქემით – მხარდაჭერის პერიოდისგან თავისუფალ პერიოდში;
- სხვა ელექტროენერგიის მწარმოებლებს, საჯარო მომსახურების ფარგლებს მიღმა წარმოებული ელექტროენერგიის ფარგლებში.

შესაბამისად, ელექტროენეგიის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა იყოს შეთავაზებული ბირჟაზე გასაყიდად, არის მნიშვნელოვნად შეზღუდული არსებული კანონმდებლობით. 2025 წლის მონაცემების, ელქტროენერგიის რაოდენობა, რომელიც თეორიულად შეიძლებოდა შეთავაზებული ყოფილიყო ელექტროენერგიის ბირჟაზე, შეადგენდა ქვეყნის მთლიანი მოთხოვნის ≈17% პროცენტს.

ბირჟის მონაწილეები

ნახაზი №1. ბირჟის მონაწილეების რაოდენობა



ბირჟაზე, დღით ადრე ბაზარზე მონაწილეობისთვის რეგისტრირებული იყო 24, ხოლო დღიურ ბაზარზე მონაწილეობისთვის - 17 მონაწილე.

ელექტროენერგიის ბირჟის მონაწილეთა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ბირჟის ოპერატორის ვებგვერდზე - www.genex.ge.

ნახაზზე №1 მოცემულია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დღით ადრე და დღიურ ბაზარზე დარეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით.

სავაჭრო წარმომადგენლების სერტიფიკაცია

სავაჭრო წარმომადგენლის კვალიფიკაციის შეფასების მიზნით, სენბიმ 2025 წელს ჩაატარა ორი გამოცდა — ივლისსა და დეკემბერში. აღნიშნული გამოცდების შედეგად, სავაჭრო წარმომადგენელთა სიას სამი ახალი წარმომადგენელი დაემატა. სერტიფიკაციის სქემის შესახებ ინფორმაცია, გამოცდის ჩატარების წესი და საგამოცდო მასალა ხელმისაწვდომია სენბის ვებ-გვერდზე (www.genex.ge). გამოცდების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება არანაკლებ ორი კვირით ადრე ასევე ბირჟის ვებ-გვერდზე, სიახლეების ველში.

ბირჟის ოპერატორის მომსახურების საფასურები

ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელი არის ნაბიჯი სამიზნე მოდელისკენ. გარდამავალ მოდელში, ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების გახსნით მონაწილეებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, გამოეცადათ ახალი სეგმენტებზე, ელექტრონული პლატფორმით ვაჭრობა. იმისათვის, რომ ბირჟაზე ვაჭრობის შესაძლებლობის განხორციელებისთვის ბირჟის ოპერატორის მომსახურების საფასური არ ყოფილიყო შემაფერხებელი გარემოება, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ბირჟის ოპერატორის მომსახურების ყველა საფასური დადგენილ იქნა ნულოვან დონეზე. კომისიის გადაწყვეტილებით, ნულოვანი მომსახურების საფასურების მოქმედება გაგრძელდება 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

ვაჭრობა

დღით ადრე ბაზარი

2025 წელს დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებმა ივაჭრეს 129,753.8 მგვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 2024 წელს ნავაჭრ ელექტროენერგიას (17,493.9 მგვტ.სთ) თითქმის 7.5-ჯერ აღემატება. მონაწილეთა აქტიურობის ზრდა, შეგვიძლია, რამდენიმე მიზეზს, მათ შორის, ფინანსურ სარგებელს დავუკავშიროთ. თვეების მიხედვით ნავაჭრი რაოდენობები მოცემულია ნახაზზე №2.

ნახაზი №2. 2025 წელს დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელს წინა წელთან შედარებით ვაჭრობა რამდენჯერმე გაიზარდა, ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა კვლავ მცირეა. ბირჟაზე მცირე რაოდენობით ვაჭრობის უმთავრეს მიზეზად კვლავ რჩება ბაზრის გარდამავალ მოდელში

ყოველთვიური დაბალანსების არსებობა. საბითუმო ბაზრის მონაწილეებს აქვთ თვის ჭრილში პოზიციის დაბალანსების (მად. გაყიდული და იგივე პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებული რაოდენობის გათანაბრების) ვალდებულება, რაც არ ქმნის მოთხოვნას უფრო მოკლევადიან სავაჭრო პროდუქტებზე, პოზიციის დაბალანსების მიზნით.

ნახაზი №3. 2025 წელს დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება



გარდა ბაზრის გარდამავალი მოდელის სპეციფიკისა, რომელიც თანაბრად ეხება როგორც მყიდველებს ისე გამყიდველებს, მხარეების მონაწილეობა დამატებითი სპეციფიკებით ხასიათდება. ნახაზზე №3 მოცემულია 2025 წელს დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა მიწოდება და ნავაჭრი რაოდენობები. დიაგრამა ცხადჰყოფს, რომ ბირჟაზე ძირითადად იყოს დეფიციტი - მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა, ფაქტობრივად, ყოველდღიურად არსებობდა, მიწოდება მხოლოდ გაზაფხულიდან გააქტიურდა, რაც განპირობებული იყო ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე ელექტროსადგურების რაოდენობისა და მათი წარმოების ზრდით. ნახაზზე №4 წარმოდგენილია ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ელექტროენერგიის რაოდენობა - ბირჟაზე მონაწილეთა გააქტიურება ემთხვევა დაშვებული ელექტროენერგიის რაოდენობის ზრდის პერიოდს.

ნახაზი №4. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ელექტროენერგიის რაოდენობა



გარდა მიწოდების ზრდისა, სავარაუდოა, რომ დერეგულირებული ელექტროსადგურისათვის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ფასი, რომელსაც ისინი მიიღებენ გაუყიდავი ელექტროენერგიისთვის, ასევე ახდენს გავლენას ელექტროენერგიის შეთავაზების მოტივაციაზე. ბაზრის არსებულ მოდელში, წარმოებული ელექტროენერგიის ნაწილის გაყიდვა დაუშვებელია კანონმდებლობით, ან ფასის გამო მისი გაყიდვა შეუძლებელია ორმხრივი ხელშეკრულებით და ბირჟაზე (მაგალითად, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების მქონე მწარმოებლები, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდში, ელექტროენერგიას ყიდიან როგორც საბალანსო ელექტროენერგიას. გარკვეული თბოელექტროსადგურებისთვის დადგენილი ტარიფი კი უმეტესად აღემატება მოსალოდნელ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს და მას სურვილის შემთხვევაშიც, ორმხრივი ხელშეკრულებით გაყიდვის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ აქვს.). შესაბამისად, წლის ნებისმიერ დროს, ბაზარზე (ორმხრივი ხელშეკრულებები და ბირჟა ერთად) მოთხოვნა ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ელექტროენერგია, რომელიც შეიძლება იყოს გაყიდული. აღნიშნული შექმნილი დეფიციტი ასევე ჰპოვებს ასახვას ბირჟაზე მიწოდებისა და მოთხოვნის პროპორციაზე - მოთხოვნა თითქმის ყოველთვის უფრო მეტია ვიდრე მიწოდება. მაისი-აგვისტოს პერიოდში, როდესაც გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მქონე ელექტროსადგურები გადადიან „დერეგულირებულ“ რეჟიმში, თბოელექტროსადგურების წარმოება უმეტესად ნულამდე დადის, მცირდება საბალანსო ელექტროენერგიის ჯამური ნავაჭრი რაოდენობა და შესაბამისად სხვაობა სხვა სეგმენტებზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. შედარებით რთული ხდება მყიდველის პოვნა და ამავდროულად, მწარმოებლის რისკი, რომ დაუკონტრაქტებელი ელექტროენერგიის გაყიდვა მოუწევს როგორც საბალანსო ელექტროენერგიის, იზრდება. გარდა რაოდენობის

რისკისა, იზრდება ფასის რისკი, რადგან თუ ზამთრის პერიოდში ამ ელექტროენერგიაში იგი მიიღებდა 150-168 ლარი/მგვტ.სთ ფასს, მაისი-აგვისტო პერიოდში ეს ფასი 40 ლარი/მგვტ.სთ იქნებოდა. ნახაზზე №5 მოცემულია საბალანსო ელექტროენერგიის და ესკოს მიერ დერეგულირებული ელექტროსადგურისგან შესასყიდი ელექტროენერგიის ფასი. თუ ზამთრის პერიოდში - განსხვავება საშუალოდ 35 ლარი/მგვტ.სთ შეადგენს, მაისი-აგვისტო პერიოდში ეს განსხვავება საშუალოდ 115 ლარი/მგვტ.სთ-საც კი აღწევს. შესაბამისად, დაუკონტრაქტებელი ელექტროენერგიით გამოწვეული რისკი და მოსალოდნელი ხარჯი მკვეთრად იმატებს მაისი-გვისტო პერიოდში. აღნიშნულ პერიოდში ბირჟაზე ჩნდება ელექტოენერგიის გამჭვირვალე წესით გაყიდვის შესაძლებლობა.

ნახაზი №5 დერეგულირებული ელექტროსადგურებისა და საბალანსო ელექტროენერგიის ფასები



ნახაზზე №6 მოცემულია ელექტროენერგიის ნავაჭრი ოდენობისა და ფასის შედარება. აქტიური ვაჭრობის პერიოდში თვის ჭრილში ელექტროენერგიის ფასი თითქმის არ იცვლება, რაც იმით აიხსნება, რომ მოვაჭრეები საორიენტაციოდ საბალანსო ელექტროენერგიის მოსალოდნელ ფასს იყენებენ.

ნახაზი №6. 2025 წელს დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



ნახაზი №7. 2025 წელს საბალანსო ელექტროენერგიისა და დღით ადრე ბაზრის საშუალო შეწონილი ფასები



ნახაზი №7 გვიჩვენებს 2025 წლის აქტიური ვაჭრობის პერიოდში ბირჟაზე ნავაჭრი ელექტოენერგიის საშუალო ფასსა და საბალანსო ელექტროენერგიის ფასებს. თითოეულ თვეში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი აღემატება ბირჟის საშუალო ფასს. შედეგად მყიდველებმა 2025 წელს დაზოგეს თითქმის 2,265,000 ლარი, რაც 2024 წლის მონაცემს (400,000 ლარს) ≈5.5-ჯერ აღემატება.

დღიური ბაზარი

2025 წლის 6 მაისს დღიურ ბაზარზე შედგა პირველი ტრანზაქცია. ნავაჭრმა რაოდენობამ შეადგინა 381.6 მგვტ.სთ, ხოლო ფასი ჩამოყალიბდა 125 ლარი/მგვტ.სთ.

მიუხედავად იმისა, რომ დღიური ბაზარი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, მასზე აქტიურობა დაბალია. დღიური ბაზარი მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, მოკლევადიან სიგნალებზე რეაგირებით მიიღონ სარგებელი. რადგან არსებულ მოდელში არ არსებობს საათობრივი დაბალანსების ვალდებულება და ფასები ძირითადად უცვლელია დღის განმავლობაში, მონაწილეებს აქვთ მცირე მოტივაცია აქტიურად ივაჭრონ დღიურ ბაზარზე.

ნახაზი №8. დღიურ ბაზარზე ვაჭრობის შედეგები